# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 115 ხუთშაბათი, 28 მაისი 1909 წ. № 115

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს არ ვინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**



# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.**

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

---

28-ს მაისს, საქართველოს ექსარხოსის, ქართლისა და კახეთის მთავარ-ეპისკოპოსის

## ყოვლად უსამღვდელოესის ნიკონის

მოწამებრივ გარდაცვალების წლის თავზე, სიონის საკრებულო ტაძარში, დილის 9½ საათზე, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რის შემდეგაც ტაძრიდან კანტორის შენობისკენ გაემართება ლიტანია. იქ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის ნიკონის მხეცურად მოკვლის ადგილას აკურთხებენ ნიშს და გადახდილი იქმნება პანაშვიდი. (2—282—2)

---

**ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლობისა და დეპუტატების კრებული** აუწყებს ყველას, რომ 28 ამა მაისს, ნაშუადღევის 2½ საათზე, განსვენებულის ბინაზე (ჟუკოვსკის ქ., სახლი № 10) გადახდილი იქნება პანაშვიდი დაუვიწყარ, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფის, უმაღლესის კარის ეგერმეისტერის

## თავ. დავით ზაქარიას ძის მელიქიშვილის

სულის მოსახსენებლად. (2—ნ.—1)

---

კნეინა **რუსუდან დიმიტრის ასული**, თავადი **ილია ზაქარიას ძე მელიქიშვილი** და კნეინა **მართა ზაქარიას ასული ჭავჭავაძისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას (26 მაისს, დილის 10 საათზე): პირველი—მეუღლის, ხოლო უკანასკნელნი—ძმის, მისის უდიდებულესობის კარის ეგერმეისტერის თანამდებობაში მყოფის

## თავ. დავით ზაქარიას ძის მელიქიშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, განსვენებულის სახლში, ჟუკოვსკის ქუჩა, № 10, ცხედრის გამოსვენება პარასკევს, 29 მაისს, დილის 9 საათზე დიდუბის ეკლესიაში, სადაც გადახდილი იქნება წირვა, პანაშვიდი და მოხდება დაკრძალვა. (3—281—2)

---

**რომანოზ ქაიხოსროს ძე, სალომე გრიგოლის ასული, ბესარიონ, ილია** და **ვარლამ მახარაძენი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ორი—შვილის, დანარჩენნი—ძმის

## მიხეილ რომანოზის ძის მახარაძისას.

ცხედრის გამოსვენება ხუთშაბათს, 28 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდი საღამოს 7 ს. ადვოკატის ქ., საკ. სახლი. (2—კვ.—2)

---

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

აუწყებს ბ-ნთ თავად-აზნაურთ, რომ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფის **უმაღლესის კარის ეგერმეისტერის თავად დავით ზაქარიას ძის მელიქიშვილის** გარდაცვალების გამო, თავად-აზნაურთა ჩვეულებრივ **საგუბერნიო კრების გაგრძელება**, რომელიც 28 მაისს უნდა მომხდარიყო, **გადაიდო 31 ამა მაისისთვის.**

სხდომა დაიწყება დილის 10 საათზე. (1—ნ.—1)

---

29 მაისს 1909 წ. სამუსიკო სასწავლებლის ზალაში

**თამარ ძნელაძე გამართავს**

## კონცერტს

(მესკრიპკენი)

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ვილლემსი, პოლტოსაცკი, ბ-ნნი ვილშაუ, ბროდე, აბაშიძე, გოლუბკინა და ხორო მგალობელთა გუნდი ნამესტნიკისა მ. ი. უ. კავკასიაში.

ბილეთები იყიდება სუზანაჯიანცის მაღაზიაში, ხოლო კონცერტის დღეს—სამუსიკო სასწავლებელში. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** (1—გაჟ.—1)

---

**◀ ქართული თეატრი ▶**

**უკანასკნელი გასტროლი ნ. დავითაშვილისა**

შაბათს, 30 მაისს ქართულ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე **ახალი პიესა ალ. სუმბათაშვილისა.**

## წინამძღოლნი

ხუთი ეპიზოდი ცხოვრებიდან.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი. დასაწყისი სწორედ 8½ ს.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. რეჟისორი კ. **მესხი.**

---

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 72)

---

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

---

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსხეს ქუჩა, N 11. (75—87)

---

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

---

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

---

**ექიმი ა. დიასამიძე** სადგომის გამოცვლის გამო 25 მაისამდე სახლში ავადმყოფებს არ მიიღებს; ავადმყოფებს გასინჯავს მხოლოდ „სამკურნალოში" ვოგზლის ქუჩაზე N 8, შუადღის 12—2-მდე.

---

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—154)

---

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

---

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2¼—3½ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. 10½—11½ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 11½—12½ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ახპისოვი** – ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი** –კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—41)

---

## დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

## იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

## პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—4)

---

**მოსკოვის უნივერსიტეტის ▶**

**◀ სტუდენტ-ფილოლოგს**

და

## პეტერბურგის უნივ. სტუდენტ-მათემატიკოსს

სურთ აიღონ გაკვეთილები საზაფხულოდ აბასთუმანში.

მოსკოვის ქუჩა. ყარჩელის სახლი, № 20. ავ. ფილავა. (4—2)


# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ორი კვირაა თითქმის გაზეთები ალარასა სწერენ „ტფ. ლისტ."-ს რედაქტორად ნამყოფის ივ. ხაჩატუროვის შესახებ. რაკი ყველაფერი გამოირკვა, —პრესსამ თავისი მსჯავრი დასდო ხსენებულ რედაქტორის საქციელს და გაჩუმდა. გაჩუმდნენ სხვები, მაგრამ არ გაჩერებულა თვით „ტფ. ლისტოკი". პირველად ეს გაზეთი თითქმის ხმა გაკმენდილი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც სხვებმა „ინციდენტი" დამთავრებულად ჩასთვალეს, ეს, უკაცრავად, უკაცრაული პასუხია, „გაზეთი" სოცარის უტიფრობით სწერს და სხვას ზნეობისა და ეთიკის გაკვეთილებს აძლევს. ამ ბოლო დროს ხსენებულ გაზეთის თითქმის ყველა ნომერში იბეჭდება ამ ჯურის წერილები. აი, გუშინაც ვიღაც ნორდი სოცარის რიხით მოჰყოლია და მაღალ პრინციპებზე ქადაგებს. აბა მოისმინეთ, რასა ბრძანებს ეს ვაჟბატონი:

არის ისტორიაში მომენტები, როდესაც უპრინციპობა მტკიცედ იკიდებს ხოლმე ფეხს ისტორიაში, როდესაც ჩრდილში იმალება ყოველივე მაღალი, იდეალური, როდესაც ეს უპრინციპობა ყველას თავის დირექტივებს უკარნახებს. პრინციპებს, ლოგიკას, გონიერებას შორს ისტუმრებენ ამ დროს და იმათ ადგილს იჭერს თავხედი სილაღე, ქარაფშუტობა, პროვოკაცია, შოვინიზმი.

....დააკვირდით ჩვენს პრესას. რამია იგი ქართული? თითქმის ყოველ დღე ღეჭავს იმ სადილს, რომელზედაც რაღაც სიტყვები უთქვამს „ტიფ. ლისტ."-ის რედაქტორს ი. გ. ხაჩატუროვს.

ამაზე მეტი თავხედობა და შუბლგარეცხილობა მართლა რომ წარმოუდგენელია! გაზეთი, რომლის რედაქტორიც ნამდვილ პროვოკაციასა და სისაზიზღრეში დაიჭირეს (მხედველობაში იქონიეთ, ნორდი თავის წერილში არც-კი ამბობს, რომ ტყუილია, რასაც ხაჩატუროვს აბრალებენო), სხვებს უკიჟინებს პროვოკაციასა და შოვინიზმს! ასეთი მოვლენა მხოლოდ ერთი რამით აიხსნება—ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრების განუვითარებლობით, იმ ტალახისა და წუმპეს გამეფებით, რომელშიაც თავისუფლად და დაუსჯელად დასცურავენ „ტიფ. ლისტ."-თანა „გაზეთები" და ნორდისთანა „მწერლები".

ეს ვაჟბატონები არც ამას სჯერდებიან; ამათი თავხედობა იქამდე მიდის, რომ, როგორც ეტყობა, აზრადა აქვთ თავიანთის ჭუჭყიანისა და მურტალის ხელით ისეთ ადამიანებსაც მოსცხონ ჩირქი, როგორიც არის აკაკი წერეთელი.

სხვათა შორის ნორდი სწერს, ადამიანის კერძო ცხოვრებისა და კერძო ლაპარაკს არ უნდა შევეხოთო და განაგრძობს:

არის კავკასიაში ყველასაგან პატივცემული პოეტი აკაკი წერეთელი... ის, რაც მან დასწერა და გამოაქვეყნა, ყველასათვის ხელმისაწვდენია. ჩვენ ქეთ ან ვაგინოთ ანუ... საგრძნობ მხოლოდ იმისთვის, რაც უკვე საყოველთაოდ არის გამოცემული და გამოქვეყნებულიო.

ვითომ რა გნებავთ ამითი ბრძანოთ? იქ, სადაც ბინძურ მეწვრილმანე ხაჩატუროვზე და სავაჭრო კანტორა „ტიფ. ლისტ."-ზეა ლაპარაკი, რა მოსატანია აკაკი წერეთელი? ხომ არა გნებავთ, ამითი აკაკი ხაჩატუროვს გვერდში ამოუყენოთ და ბრძანოთ, აკაკისაც უთქვამს ისეთი რამეები, რაც ხაჩატუროვმა იკადრაო. ფრთხილად, ბატონებო, ერიდეთ ისეთი არაფერი წამოგცდეთ, რაც მერე სანანებლად გაგიხდებათ.

თუ იმდენად ჩაფლულხართ ტალახში და აქამდე ვერ შეგისმენიათ, ეხლა მაინც იცოდეთ, რომ აკაკის და ხაჩატუროვის მარტო ერთად დაყენებაც-კი უკიდურესი თავხედობა იქნება თქვენის მხრივ. აკაკის არც უკადრნია და არც იკადრებს იმისთანა რამეებს, რაშიაც ეტყობა გაწვრთნილი ყოფილა თქვენი რედაქტორი. აკაკი რასაც ფიქრობს და ამბობს, საჯაროდ ამბობს და მიუხედავად ამისა ჩვენ, თითონ ქართველებმა, ბევრი რამ უსაყვედურეთ მხცოვან პოეტს. გაიხსენეთ თუნდა ლევან ყიფიანის წერილები თქვენსავე გაზეთში ბაქოსა და სხვაგან წასვლის შესახებ, ან ზოგიერთ დეპუტატების სიტყვები იუბილეის დროს.

ვიმეორებთ, მხოლოდ დღევანდელ პირობებში და დაქვეითებაში შეიძლება ისეთ „გაზეთებისა" და „მწერლების" თარეში, როგორნიც ბრძანდებიან „ტიფ. ლისტ." და „ნორდი". სხვა დროს მათ შესაფერ ლაგამს ამოსდებდნენ და შესაფერ ადგილს მიუჩენდნენ.


ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—69)

---

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

---

## შპალიერი

## ძმ. ტარნოპოლების

**ფაბრიკის**

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (25—ნ 10)

---

დღეს, 28 მაისს, 1909 წელს

—✦ იხსნება ✦—

**✦● ბაღი—რესტორანი ●✦**

## ამხ—გის „იუქანე"-ში

სახაზლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. დაუკრავს ტფ. საზაფხულო თეატრის ორკესტრი ბ-ნ შ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები" და „პრეისკურანტები". ფასები ზომიერია. (8—გაჟ.—2)

---

## ჭიათურა

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრად ჩაწერა და საწევრო გადასახადის სამი მანეთის წარდგენა შეიძლება განყოფილების გამგეობის წევრ-ხაზინადარ ირაკლი დეკანოზიშვილთან. (10—3)


## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**გადასვლა ერთი სარწმუნოებიდან მეორეში.**

26 მაისს სათათბირომ დაამთავრა კამათი იმ კანონ-პროექტის გამო, რომელიც შეეხება ერთი სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლას.

მემარცხენეებმა ამ კრებაზედაც ბევრი რამ საგულისხმიერო აღნიშნეს. ხასმამედოვმა სთქვა: მაჰმადიანებს მუდამ სდევნიდნენ, ძალას ატანდნენ და მათრახით ქრისტიანობას აღებინებდნენ. მაჰმადიანობა დიდძალ ფულსა და ქრთამებს იხდიდა, რომ ამ ტანჯვას ასცდენოდაო.

გაიძაროვი ჭეშმარიტ რუსებს შეეხო. მან სთქვა. ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ იმისა, რომ სათათბირო სულით და გულით რუსული იყოს. მაგრამ როდესაც ხელზე ამ პრინციპს იხვევენ და სახაიე-საყავახანოებში მოთარეშე „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრებს აბატონებენ, არ შეგვიძლიან ჩვენი პროტესტი და მძულვარება არ გამოვსთქვათ. ეს ვაჟბატონები ნატრობენ მხოლოდ ერთს—რუსეთი მუდამ თვითმპყრობელი და მონათ-მფლობელი იყოსო.

პოლონელი მღვდელი მატიევიჩი შეეხო იმ ჯოჯოხეთს, რომელიც პოლონელებმა განიცადეს 70 წლის განმავლობაში. პოლონელ მღვდლებს ამ ხნის განმავლობაში ნებას არ აძლევდნენ ეკლესიაში ქადაგება ეთქვათ. ეკლესიებში ჟანდარმები და პოლიცია იდგა. ამავე დროს რუსის სამღვდელოება ჩვენს კუთხეში გაბატონებული იყო და ცეცხლითა და მახვილით მოქმედებდაო.

უკიდურესს მემარჯვენეთაგან ილაპარაკა სამმა კაცმა—ზამისლოვსკიმ, მღვდელმა გოპეცკიმ და საზონოვიჩმა. ამათ ახალი არა უთქვამთ-რა, გაიმეორეს წინად ნათქვამი. გოპეცკიმ, სხვათა შორის, წინადადება შეიტანა: რუსეთში პროპაგანდის ნება მარტო მართლ-მადიდებელ სარწმუნოების წარმომადგენელთ მიეცეთო. დიდ-ხანს ილაპარაკა საზონოვიჩმა. მან ყველაფერი იმოწმა, თავისებურად, რასაკვირველია,—ისტორიაც, პოლიტიკაც, მეცნიერებაც, პატრიოტიზმიც და ათასი სხვა რამეც. ყველას გასაკვირველად საზონოვიჩმა სახელმწიფო სათათბირო ქება-დიდებით მოიხსენია. ჩვენაო, სთქვა მან, მემარცხენენი ცილსა გვწამებენ, ვითომ ჩვენ გვძულდეს სახელმწიფო სათათბირო და იმის დათხოვნას ვცდილობდეთო. ჩვენ სათათბიროში უნდა დაიცვას მამა-პაპათა ანდერძი და რუსის ხალხის კეთილდღეობისთვის იზრუნოსო.

ეპისკოპოსმა ევლოგიმ განაცხადა: მე და ჩემი მომხრე სამღვდელოება მონაწილეობას არ მივიღებთ კენჭის ყრაში, რადგან კომისიამ გადაუხვია 17 აპრილის ბრძანებაში აღიარებულ პრინციპებსაო.

საქმე კენჭის ყრაზე მიდგა. მემარჯვენეებმა, რაკი ვერაფერი გააწყეს, ახალ ხერხს მიმართეს: მათ გამოუშვეს თავიანთი მომხრე გლეხი ამოსენოკი, რომელმაც მოითხოვა, კანონ-პროექტის მიღება შემდეგისთვის გადასდეთო: ჩვენ, გლეხ-დეპუტატებს, გვინდა ამ ზაფხულს ყური დაუგდოთ, რას იტყვის კანონ-პროექტის შესახებ რუსის გლეხობა, რომელიც რუსეთში ასს მილიონამდეაო. ვერც ამან გასჭრა—ოქტომბრისტები და მემარჯვენენი წინააღუდგნენ ამას და სათათბირომ 185 ხმით უარ-ჰყო ეს წინადადება.

ბოლოს სათათბირომ მიიღო კანონ-პროექტი და შეუდგა მის მუხლობრივ განხილვას.

სოც.-დემოკრატებმა წინადადება შეიტანეს—ჩაემატოს კანონ-პროექტს მუხლი, რომლითაც მსურველს ნება უნდა მიეცეს, თუ მოისურვებს, ყველა სარწმუნოების გარეშე დადგეს, ესე იგი არც ერთ სარწმუნოების წევრად არ ითვლებოდეს. კადეტებმა განაცხადეს, მხარს არ დაუჭერთ მაგ წინადადებას, მიგაზე ცალკე პროექტს შემოვიტანთო. ამის გამო მცირეოდენი კამათი გაიმართა კადეტებსა და გეგეჭკორს შორის. ამ უკანასკნელმა ამხილა—გულწრფელად არ მოქმედებთო.

სათათბირომ უარ-ჰყო სოციალ-დემოკრატების წინადადება. მიიღო კრუპენსკის წინადადება, ამავე დღეს, საღამოს ექვს საათზე შეუდგეს კანონ-პროექტის მუხლობრივ კითხვას, რაც მოიყვანა კიდეც სისრულეში.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 მაისი

**ოსმალეთი**

**ბერლინი.** „ფოსიშე ცაიტუნგი" სწერს: როგორც გავიგეთ, იმპერატორი ვილჰელმი გენერალ ფონ-

დერ-ჰოლცს (ამ გენერალმა გაწვრთნა ოსმალეთის ჯარი) ზაფხულში დასასვენებლად ცოტა ხნით დაითხოვეს. ფონ-დერ-ჰოლცი სტამბოლში წავა. გენერალს აზრადა აქვს, დაუახლოვდეს ოსმალეთის მთავრობას, თავის ოსმალო მეგობრებს და გაიგოს, რა მოვალეობის ასრულება მოუხდება ოსმალეთში. ფონ-დერ-ჰოლცს ოსმალეთის მთავრობა ჯარის გაწვრთნასა სთხოვს. ფონ-დერ-ჰოლცი არა სტოვებს თავის თანამდებობას გერმანიაში—იგი პრუსიის გენერალ-ინსპექტორია.

**სალონიკი.** ალბანიიდან გამოიწვიეს ჯევად-ფაშა. ალბანელებმა გადაჭრილი უარი განაცხადეს, იარაღს არ დავყრითო; რადგან ეშინოდათ, რომ ძალის ხმარებამ უფრო არ გაამწვავოს საქმეო, ამიტომ გამოიწვიეს ჯევად-ფაშა. ალბანიაში მცირე გარნიზონი დარჩა. ამბობენ, ჯევად-ფაშას გამოწვევა ახალგაზდა ოსმალთა დამარცხებააო, ახალგაზდა კომიტეტმა ვერ შესძლო ალბანელთა დამშვიდება, ალბანელნი ვერავის ბატონობას და ახალ რეჟიმს ვერ შეურიგდებიანო.

**მაინის-ფრანკფურტი.** „ფრანკფურტ.-ცაიტუნგს“ სტამბოლიდან ატყობინებენ: დიდმა სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს, რომ კრიტოსის წყლებში ერთი სამხედრო გემი ეყოლებათ. სამხედრო გემი ორ თვეში ერთხელ გამოიცვლება. ოსმალეთმა სახელმწიფოებს სთხოვა სუესის ნავთსადგურში მაინც დასტოვეთ მცირე რაზმიო, რადგან მარტო აქ და დარჩა ოსმალეთის სუვერენიტეტის ნასახი, კუნძულის დანარჩენ ადგილებში კი საბერძნეთია გაბატონებულიო.

**სტამბოლი.** ელიან სულთნის მანიფესტს, რომლითაც პარლამენტის სესსია პირველ აგვისტომდის გაგრძელდება. გაზეთ „მიზანის“ რედაქციონერ რედაქტორ მურადს სამხედრო სასამართლომ უვადო სატუსაღო გადაუწყვიტა.

**საზღვარ-გარედ.**

**ვენა.** 26 მაისს. [illegible] გაზეთებში დაბეჭდეს, რომ პოლონელი დეპუტატები სლავიანთა ბანაკში გადავიდნენ და მიიღეს შუსტერშიჩის ფორმულაო. შურტერშიჩი თავის ფორმულაში მთავრობას ჰკიცხავდა ბოსნიაში ჰუნგრეთის სააგრარო ბანკის გახსნის ნებართვისთვის. მიუხედავად ამ ამბისა, პოლონელი დეპუტატები მთავრობის უმრავლესობას მიემხრნენ. მხოლოდ პოლონეთის სახალხო პარტიის 19 წევრმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო და სხდომა მიატოვა. შუსტერშიჩის ფორმულის პირველი ნაწილი (მთავრობის გაკიცხვა) პალატამ უარჰყო (242 ხმით, 23 ხმის წინააღმდეგ). სლავიანელი დეპუტატები პალატის დღევანდელ სხდომას სალონიკთა სოლიდარობის გამოცდად სთვლიან. სტაპინსკის გაზეთი „პოვშეჩნა“ სწერს: პოლონეთის სახალხო პარტიამ კენჭის ყრაში იმიტომ არ მიიღო მონაწილეობა, რომ ამით სურდა პროტესტი განეცხადებინა ხალხის მტრის—ფინანსთა მინისტრის ვილენსკის წინააღმდეგ, რომელიც პოლონელებს პანგერმანისტებს უმორჩილებსო.

**რუსეთი**

**კალიში.** 26 მაისს, ღამე, ნიღაბ აფარებულ ბოროტ-გამზრახველთა ბრბოს, რიცხვით ცხრიდან ოცდაათ კაცამდე, გაუკარცვავთ მგზავრები. წაუღიათ 400 მანეთი და მრავალი ძვირფასეულობა.

**პეტერბურგი.** სამთო საბჭოს წევრი ივანოვი უმაღლესის ბრძანებით გაიგზავნა კავკასიის სამკურნალო წყლებზე. ივანოვი თავმჯდომარედ იქმნება იმ კომისიისა, რომელმაც, სახელმწიფო სათათბიროს მიერ გამოთქმულ სურვილის თანახმად უნდა გამოარკვიოს საკითხი სახაზინო კურორტების მართვა-გამგეობისა და ამ კურორტების ადგილობრივ საზოგადოებათა და დაწესებულებათა ხელში გადაცემის და აგრეთვე იჯარით გაცემის შესახებ.

**პოლტავა.** დაბა იაბლონოვში, ლიუბლინის მაზრაში, დაიწვა 34 გლეხის სახლ-კარი, 105 შენობა და მრავალი საქონელი.

**მოსკოვი.** საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში საექიმო და სხვა სამეცნიერო საზოგადოებებმა საღამო გამართეს [illegible] მეჩნიკოვის პატივსაცემლად. მეჩნიკოვს დამსწრენი ტაშის ცემით მიეგებნენ. მეჩნიკოვმა კაცის ორგანიზმზე სიტყვა წარმოსთქვა. მეჩნიკოვი ამტკიცებდა, რომ ზოგიერთი ნაწილი კაცის ორგანიზმში მავნებელია, სარგებლობა არაფერი მოაქვსო. სიტყვის შემდეგ მეჩნიკოვს მიესალმნენ მოსკოვის უნივერსიტეტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, მოსკოვის ქალაქის თვითმართველობა, საგუბერნიო ერობა, 15 საექიმო საზოგადოება, 34 სამეცნიერო საზოგადოება და სხვანი. სამეცნიერო საზოგადოებებს დაუდგენიათ, მეჩნიკოვის პატივსაცემლად ორი მედალი გააკეთონ, ერთს მეჩნიკოვს მიართმევენ, მეორეს პასტერის ინსტიტუტს გაუგზავნიან. უნივერსიტეტმა მეჩნიკოვს მიართვა პროფ. სეჩენოვის თხზულებათა კრებული. სეჩენოვი მეჩნიკოვის მეგობარი იყო.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** პოლიციამ სარდაფში აღმოაჩინა სოციალისტ-რევოლიუციონერების სტამბა. წაიღეს სამი ფუთი შრიფტი, პასპორტის ბლანკები, რევოლვერი, ასი პატრონა და სხვა. დააპატიმრეს ხუთი კაცი.

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ **რევიზია სკოლებისა.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ-გამგეობის მიერ სარევიზიოდ გაგზავნილმა მასწავლებელმა ლ. ბოცვაძემ უკვე დაასრულა ბათუმისა, სენაკისა და წინარეხის სკოლების რევიზია. ბათუმის სკოლაში სამოსწავლო წლის განმავლობაში 178 მოსწავლე ყოფილა. აქედან 25 მოსწავლე ქართველ მაჰმადიანების შვილები ყოფილან. გამოცდის დროს გამორკვეულა, რომ დიდი წარმატება ეტყობათ მოსწავლეებს. მაჰმადიანი ქართველი მოსწავლენი მშვენივრად სწავლობენ თურმე. თათრული ენის მასწავლებლად მიუწვევიათ მაჰმადიანი ქართველი ჟორდანია, რომელსაც სწავლა დაუმთავრებია ჯერ წერა-კ. საზოგ. ბათუმის სკოლაში და შემდეგ სტამბოლში. წელს ბათუმის ქალაქის გამგეობას ქართველ [illegible] ლი სკოლა დაუარსებია. ამ სკოლაში 47 მოსწავლე ვაჟი და ქალი ყოფილა. მაჰმადიანი ქართველობა ამ ბოლო დროს დიდის ინტერესით ეკიდება თურმე სწავლა-განათლების საქმეს. პ. სურგულაძემაც დაასრულა რევიზია წ.-კ. საზოგადოების კავკავის სკოლისა და დაბრუნდა ტფილისს.

✦ **ქარხნის დაკეტვა.** ბათუმში დაიკეტა ნავთის ყუთების დამამზადებელი ქარხანა მანთაშევისა. ამ რიგად რამდენიმე ასი მუშა კიდევ უსაქმოდ დარჩა.

✦ **ბანკის კრება.** ტფ. სათავად აზნაურო საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრებამ 26 მაისს საღამოთი განაგრძო სხდომა. მთელი საღამო კრებამ მოანდომა ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობის ინსტრუქციის განხილვას. ინსტრუქციის განხილვამდე ლაპარაკი ამ მამულების ლიკვიდაციაზე იყო. კამათი ორ აზრის გარეშემო ტრიალებდა. ერთნი საჭიროდ სცნობდნენ მამულების სალიკვიდაციო კომისსიის არჩევას, მეორენი კი (ბანკის გამგეობა და რწმუნებულთა უმრავლესობა) მეტად სცნობდა ასეთ კომისს. ამ უკანასკნელთა აზრით, სალიკვიდაციო-კომისიია არსებობა უფრო გაართულებს და დააგვიანებს მამულების გაყიდვას. კრებამ დაადგინა, დაავალოს ბანკის გამგეობას გამონახოს საშუალება, როგორ შეიძლება დაჩქარდეს დარჩენილ მამულების გასაღება, შემდეგ კრებამ განიხილა ინსტრუქცია და ზოგიერთის ცვლილებებით მიიღო.

✦ **ეგზამენები.** ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლაში ეგზამენები მოხდა 24 მაისს. ყველაზე მეტი წარმატება ეტყობოდათ ფორტეპიანოსა და სკრიპკის კლასის მოწაფეებს. ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზედ დაადგინა, ეცადოს საკუთარი ბინა უშოვნოს სკოლას.

✦ **ქალთა საზოგადოება.** 26 მაისს კავკასიის საექიმო საზოგადოების სადგომში მოხდა კრება ტფ. ქალთა საზოგადოებას. კრებამ პირველად განიხილა საკითხი ქალთა კლუბის დაარსების შესახებ. პრინციპიალურად საჭიროდ იცნეს კლუბის დაარსება და ამ საქმის განხორციელება, როდესაც შესაძლებელი იქნება, საბჭოს დაავალეს. შემდეგ კრებამ დაადგინა, გამართოს სახალხო სეირნობა. კრების დასასრულ რამდენიმე ახალი წევრიც მიიღეს.

✦ **შემოსავალი.** წარსულ კვირას, „ედემის“ ბაღში ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ სეირნობიდან წმინდა შემოსავალი დარჩა 1162 მან. 74 კაპ.

✦ **ივ. ჯავახიშვილის ლექცია.** პრივატ-დოც. პეტერბურგის უნივერსიტეტისა ივ. ჯავახიშვილი დღეს, 18 მაისს, ქართულ თეატრში მეორე ლექციას წაიკითხავს ქართულ სამართლის ისტორიის შესახებ.

✦ **მომხმარებელი საზოგადოება.** აქამომდე მოხელეთა მომხმარებელი საზოგადოება (ტფილისში არსებობს) ვერ ეღირსა თავის საკუთარ კოოპერატიულ მაღაზიას. თუმცა დავდაპირველად ბევრი თანამგრძნობელი აღმოუჩნდა (500 წევრამდე), მაგრამ 16 გიორგობის თვიდან აქამომდე ფული შემოიტანა მხოლოდ 129 წევრმა სულ 600 მანეთამდე. ამის გამო პირველ დროს მაღაზიის მაგივრად გაიმართა მცირე საწყობი ხსენებულ საზოგადოების თავჯდომარის სადგომში (მიხეილის ქუჩა, № 150). საზოგადოდ მოხელენი ძალიან ეკიდებიან ამ სასარგებლო საქმეს.

✦ **ამომრჩეველთა საზოგადოებანი.** ტფილისში უკვე სამი საზოგადოება დაარსებულა მცხოვრებთა და ამომრჩეველთა. წესდებას ამ საზოგადოებათა შემდეგ გავაცნობთ მკითხველებს. ამომრჩეველთა საზოგადოებას აზრად აქვს თავის უბნის მდგომარეობის გაუმჯობესობა, ხმოსნებათ საუკეთესო მოღვაწეთა არჩევა და სხვა.

✦ **კაპიტალისტის დაკარგვა.** ორი თვეა ბაქოელი კაპიტალისტი აჯი-ალა-ალაევი ბაქოდან ჩამოსულა და სცხოვრობდა თურმე „დანიის“ სასტუმროში. 21 მაისს ალაევს შეუკრავს თავისი ნივთები, ჩაუბარებია სასტუმროს პატრონისათვის და უთქვამს: „თუ ან დღეს საღამოს ან დილაზე ვერ მოვედი, იცოდეთ მე მომკლეს. მისწერეთ ბაქოში, წაიღონ ეს ჩემი ნივთებიო“. დღემდის [illegible]. სასტუმროს პატრონს დეპეშით უცნობებია ბაქოში, შეუტყობინებია პოლიციისათვისაც.

✦ **ქალაქის თავი.** ორი კვირაა ავად იყო ტფ. ქალაქის თავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, ამ უკანასკნელ დღეებში ქალაქის თავი [illegible] გახდა და [illegible] შეუდგება თანამდებობის აღსრულებას.

✦ **მანთაშევი თავის ნავთის წარმოებას ჰყიდის.** რუსულ გაზეთების სიტყვით, მანთაშევი თავის ნავთის წარმოებას ბაქოში ჰყიდის. მყიდველად ნობელსა და ამხანაგობას ასახელებენ.

✦ **სომხების დაპატიმრება.** სომხების დაპატიმრებას კვლავ განაგრძობენ. პიატიგორსკში 22 მაისს გაუჩხრეკიათ იქაური ექიმი ვაგან არწრუნი და დაუპატიმრებიათ. დაუპატიმრებიათ აგრეთვე სხვანიც. ამ დღეებში დიდი ჩხრეკა ყოფილა და ბევრნი დაუპატიმრებიათ კიდეც ყაზახის მაზრის სოფ. რექარსა, დილიჟანსა, შარხანსა, ქარავან-სირაისა და ზემო აღდანში.

✦ **ქალაქის საბჭოს სხდომა.** დღეს, 27 მაისს, საღამოსთვის დანიშნულია ტფილ. ქალაქის საბჭოს სხდომა ზოგი საქმე საჩქაროა. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს მოხსენებას დიდუბისა და საბურთალოს შუა მტკვარზე ხიდის გადების შესახებ დასხვა.

✦ 26 მაისს პოლიციის მე-10 ნაწილში დააპატიმრეს არშაკ ზურაბოვი და იასონ ჯურბინაძე, რომელნიც რუსეთში გადასახლების შემდეგ ტფილისში თავიანთ ნებით დაბრუნებულან. დაპატიმრებულნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

✦ 25 მაისს ტფ მოქალაქე ალექსანდრე ტარხნიანცი თევზაობის დროს მტკვარში ჩავარდა და დაიხრჩო.

# პატარა ფელეტონი

## ვერაგული ორჭოფობა

ერთ სამხედრო კაცს ჰკითხეს, რომელ პარტიას ეკუთვნით, მემარცხენეს თუ მემარჯვენესაო. მხედარმა თავმომწონედ უპასუხა, ჩვენ ყოველთვის ფრონტში ვართ და ბრძანებისა დაგვარად მარცხნივ ან მარჯვნივ ვტრიალებთო.

მინისტრთა საბჭოს მეთაური სტოლიპინიც, რასაკვირველია, მუდამ ჟამს მთავრობის ფრონტში სდგას და, როგორც დღევანდელი წეუბილება უბრძანებს, თავმომწონედ მარცხნივ და მარჯვნივ ტრიალებს.

ყველაზე ცხადად ეს იმ სიტყვაში სჩანს, რომელიც მან სარწმუნოების თავისუფლების შესახებ წარმოსთქვა სათათბიროში. სტოლიპინმა საჯაროდ

# კამათის დასასრული

(დასასრული *)

ასეა თუ ისე, მართლაც და დაფიქრების ღირსია ჩვენი ხალხის განვითარების ისტორია. ეს ისტორია პროგრესისაკენ მისწრაფების სწორ ხაზს სრულიადაც არ წარმოადგენს. ხაზი არსად არა სწყდება. ხოლო იგი ათასგვარად იკლაკნება და იგრიხება. ვინც ამ კლაკნას და გრეხვას სიკვდილის სახელით ნათლავს, მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს სიცოცხლის განვითარების კანონზე. სიცოცხლის განვითარებაც ამნაირია. რა გინდ ძალასაც მიაწერეთ მისი მოძრაობის უნარი (ბუნების შერჩევის კანონს, თუ ბუნებრივ ძალთა შემოქმედებით თამაშს), ხოლო თვით ეს მოძრაობა არასოდეს სწორხაზიანობას არ წარმოადგენს. იგი ვითარდება, რთულდება და წინ მიდის თითქოს დროებით დაქვეითების და უკან დაწევის წყალობით. სიცოცხლის კანონი ორგანიზმთა სამეფოში და ერთა განვითარების ფარგალში ერთი და იგივეა. ბ-ნ ანს კი სიცოცხლის წარმტაცი საიდუმლოება „ყარამანიანი“-დან ამოკითხული ამბავი ჰგონია!

უცნაური ხასიათი აქვს ჩვენს მოკამათეს. ჯერ იყო და სულ იმას იძახდა, დაამტკიცეთ, რომ საქართველოში ალებ-მიცემობა იყო და მაშინ ვირწმუნებ ეროვნულ კულტურის არსებობას წარსულშიო. ჩვენ იმ თავითვე უარვყავით საკითხის ამგვარ დაყენების სარგებლობა. ჩვენის აზრით ეროვნულ შემეცნების აღორძინებისა და განვითარებისათვის არ არის საკმარისი ვაჭრობა-მრეწველობის არსებობა რომელიმე ქვეყანაში. ეროვნულ შემეცნების შემუშავებაში ბევრ მოვლენას და ფაქტორს ჰქონდა ადგილი, ხოლო მთავარ ძალას მე ვაკუთვნებ სახელმწიფოს. მაგრამ ბ-ნ ანს, როგორც მარქსისტს, ვაჭრობა-მრეწველობის კერპისაკენ აქვს მიპყრობილი თვალები. ეროვნებას ვაჭრობა-მრეწველობა ჰქმნისო. ვაჭრობა-მრეწველობა? ბატონი ბრძანდებით, ვილაპარაკოთ ამ საგანზედაც. მართალია წარმოებით ურთიერთობის ფაქტორს ჩემს თვალში ისეთი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენი საგნის გამორკვევისათვის, მაგრამ რაკი არ იშლის ბ-ნი ანი და ამაზე ამყარებს თავის ფილოსოფიას, გავყვეთ და ვისაუბროთ ვაჭრობა-მრეწველობის შესახებაც.

ჩვენს საუბარს ის შედეგი მოჰყვა, რომ თვით ბ-ნი ანიც დაგვეთანხმა, რომ საქართველოში ქალაქებიც იყო, ვაჭრობაც იყო და სავაჭრო ცენტრებიც. და რაკი ჩვენმა საუბარმა ასეთი მოულოდნელი მიმართულება მიიღო ბ-ნ ანისათვის, იგი უეცრივ შედგა, შემოგვიბღვირა და კიჟინაც კი დაგვცა: „ჯორჯაძე ხომ სულ იმას ქადაგებს, რომ ეროვნება სახელმწიფომ შექმნა და არა ვაჭრობამ და მრეწველობამო. ხოლო მეცადინეობს კი დაამტკიცოს ქართული ვაჭრობის სიდიადე, რომ მით ქართული ეროვნებაც აამაღლოსო.“ (იქვე № 5) ახირებაც ამისთანა უნდა! ბ-ნი ანი ჩვეულია გადაჭრილ პრობლემების დაყენებას. ეროვნების შექმნაში მარტოოდენ ვაჭრობა-მრეწველობას უჭირავს ადგილიო. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ამ ცალ-მხრივობისა. სრულიადაც არ უარ-ვყოფთ ვაჭრობა-მრეწველობის მნიშვნელობას. არც დავიზარეთ ამ საგნის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ არასოდეს არ დაგვიყენებია საკითხი ისე, როგორც აყენებს ბ-ნი ანი. **ან** ვაჭრობა, **ან** სახელმწიფო. თუ ვაჭრობა, სახელმწიფოს ნულარ შეეხები, თუ სახელმწიფო, ვაჭრობას თავი მიანებეთო. ჩვენ ვამბობდით—ერთიც, მეორეც, მხოლოდ მნიშვნელობას, საორგანიზაციო ძალას სახელმწიფოს ვაკუთვნიდით. ბ-ნი ანი კი გვიწყრება, თუ თქვენი ღმერთი სახელმწიფოა, მის წინაშე იდექით მუხლმოდრეკილი და ჩემ ღმერთს თვალებს ნულარ უბრიალებთო. სწორედ რომ ტფილისელ კინტოს ოხუნჯობა მაგონდება. საყდარში შესულა კინტო და ლამაზ ქალისათვის დაუწყია მზერა. ქალი გასჯავრებია და წყრომა გამოუცხადებია კინტოსთვის. ვა, რასა სჯავრობ, თუ კი ღვთის-მშობელს დავყურებ და ვკოცნი კიდეც, შენ რომ გიყურო, რა დიდი ცოდვა იქნებაო...

იმის დასამტკიცებლად, რომ ძველს საქართველოში უკვე შემუშავებული იყო ეროვნული თვით-შემეცნება, წინა წერილებში, სხვათა შორის, აღნიშნული მქონდა ქართულ ეკლესიის ნაციონალურ მისწრაფებით გამსჭვალვის საკითხი. გამოჩენილი მეფეები, სამშობლოსთვის თავდადებულნი, წმინდანებად იყვნენ აღიარებულნი. საეკლესიო პირნი თავიანთ ლოცვებში ღმერთს ერისთავთა დათრგუნვას და მეფეთა გაძლიერებას ევედრებოდნენ, და სხვა და სხვ. მართალია, ნაციონალურ იდეალებით გამსჭვალვა ეკლესიას პირვანდელ ქრისტიანობას აშორებდა, მართალია, მისი ძირითადი საფუძველი კომპრომისი გახდა და ამ კომპრომისის ძალით იგი შეიქმნა მიწიერ სამეფოს მოსამსახურედ, მაგრამ სწორედ ეს არის იმისი მაჩვენებელი, რომ ამ ხანაში სახელმწიფო იმდენად გაძლიერდა, რომ შესძლო თავის გავლენისთვის დაემორჩილებინა ეკლესიაც. და მთელ ისტორიულ პერიოდის განმავლობაში ქართული ეკლესია მონა-მორჩილი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივობისა, რომელიც ძველს დროში სინონიმი იყო ქართულ ეროვნების განმტკიცებისა. რამდენადაც საზარალო იყო ასეთი დამორჩილება ეკლესიისა სახელმწიფოს მიერ ქრისტიანობის სიწმინდის დაცვისათვის, იმდენად სასარგებლო იყო იგი ეროვნულ იდეის გამაგრებისათვის. ძველს დროში, მიუხედავად თავის სოციალურ ხასიათის რეაქციონობისა, ეკლესია ასე თუ ისე ერის სულიერ მოთხოვნილებათა გამომსახველი იყო. და რადგან ეკლესიის ავტორიტეტი იმ ხანაში დიდი იყო, ამიტომ ეკლესიის მიერ ეროვნულ იდეალების და მისწრაფებათა დაცვა ამ იდეალებს განსაკუთრებულ სიცხოველეს ანიჭებდა.

საყურადღებოა, რომ მე-VII საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეკლესია უკვე სრულიად დამთავრებულ ორგანიზაციას წარმოადგენდა და ამ ხანაში იგი უკვე ნაციონალიზაციის გზაზე იდგა. ეს შეუძლებელი იქნებოდა, ეროვნული თვით-შემეცნება რომ შეუმუშავებელი ყოფილიყო იმ ხანაში. ბ-ნ ანს ამ გარემოებისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია; თითქოს ეს ფაქტი აღნიშვნის ღირსიც არ იყოს უყურადღებოდ დაუტოვებია იგი, ჩვენ კი ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ. ამიტომ კიდევ შევჩერდეთ ამ საგანზე. ამ მხრივ საყურადღებო მასალას ვპოვებთ საქართველოს და სომხეთის ეკლესიათა ერთმანეთისაგან განშორების ისტორიაში. ეს ამბავი მოხდა მეშვიდე საუკუნის დასაწყისში. განშორებით მიზეზად ბევრ რამეს ასახელებენ. ჰგონიათ, მაგალითად, რომ ეკლესიათა ერთმანეთისაგან განშორება გამოწვეული იყო სარწმუნოებრივ, დოგმატიურ პრობლემათა შეუთანხმებლობით. ასახელებენ ქალკედონის კრებას, სადაც განხეთქილება მოხდა მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის. ამ კრებამ დიოფიზიტობა დაამუნა. საქართველოს ეკლესია ქალკედონის კრების დადგენილებას დაემორჩილა და დიოფიზიტობა აღიარა. სომხეთის ეკლესიამ მონოფიზიტობას არ უღალატა და ამ ნიადაგზე დიდი მიწერ-მოწერა და კამათი აღიმართა სომეხ და ქართველ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა შორის. ეს კამათი, რომელსაც დასაწყისში სიმკაცრე არ ეტყობოდა, ბოლოს წყრომით დამთავრდა და სომეხთა კათალიკოსმა შემდეგი ბრძანება გასცა თავისს სამწყსოში: „განკარგულება მოვახდინეთ, სომხებმა არავითარი ურთიერთობა არ უნდა იქონიონ ქართველებთან არც ლოცვასა, არც ჭამასა, არც სმასა, არც მეგობრობასა და არც შვილების აღზრდის საქმეში. სომხებმა აღარ უნდა იარონ მცხეთის და მანგლისის ეკლესიებში და არც ქართველები უნდა შემოუშვან სომხის ეკლესიებში. ქართველებსა და სომხებს შორის ცოლ-ქმრობაც აღკრძალულია. ნებადართულია მხოლოდ ყიდვა-გასყიდვის გამართვა, როგორც ებრაელებთან. სომხები ამგვარადვე „უნდა მოექცნენ ალბანელებსაცო“. (Извѣстія Императорской Акад. Наукъ—1908. И. А. Джаваховъ. Исторія церковаго разрыва между Грузіей и Арменіей въ началѣ VII вѣка, стр. 536).

ამ წერილზე ქართველ კათალიკოსებსაც უპასუხნიათ. დედანი ამ პასუხისა ნაპოვნი არ არის, ხოლო ადვილად წარმოსადგენია, რომ ეს ქართველი სულიერი მთავარნი კრულვა-წყევლაში არ ჩამოუვარდებოდნენ სომხებს. მაგრამ საქმე ამაში არ არის, არამედ იმაში, თუ რამ გამოიწვია ასეთი მკაცრი განხეთქილება. ჩვენის აზრით ეს იყო გამოწვეული ეროვნულ ინტერესებით, ამ ინტერესებით გამსჭვალვა ორივე ეკლესიისა. იმ დროინდელი პოლიტიკური განწყობილება იმგვარი იყო, რომ საქართველო და სომხეთი სულ სხვა და სხვა პოლიუსებისაკენ იყურებოდნენ. საქართველოს ეკლესია ექცდლებოდა ბერძენ-რომაელთა ეკლესიას. ქალკედონის კრებაც იმიტომ შეიწყნარა მან. სომხეთის ეკლესია სპარსეთ-სირიისაკენ იყურებოდა. მას შემდეგ, რაც იბერიის მეფე გურგენმა სპარსელების წინააღმდეგ აჯანყების დროშა ააფრიალა და სპარსელებმა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს დამოუკიდებლობა მოსპეს, ქართველები ბიზანტიელებისაკენ იყურებოდნენ და არა მალავდნენ თავიანთ მტრობას სპარსელების მიმართ. (იქვე, 627). ჩვენის აზრით, აქ უნდა ვეძებდეთ განშორების მიზეზს და არა მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის შეუთანხმებლობაში. ეროვნულ დამოუკიდებლობის აზრი ისე იყო დამწიფებული, რომ ყოველივე რაც სასარგებლო იყო ამ აზრის გა-

*) იხ. „დროება“, N 114

აღიარა, რომ სარწმუნოების თავისუფლება უპირველესი მოთხოვნილებაა რუსეთის თვითეულ მკვიდრისა (მარცხნივ მიტრიალდა), ხოლო ქრისტიანე სარწმუნოებიდან თავისუფლად არა-ქრისტიანულში გადასვლა რუსეთის სახელმწიფოსა და მართლმადიდებლობის ძირითად აზრს ეწინააღმდეგებაო (მარჯვნივ მიტრიალდა).

ამ მხრივ სტოლიპინი და ცნობილი მწერალი მენშიკოვი ერთ ხიდან გამოჭრილი მოღვაწენი არიან. ისინი თითქო შეთანხმებით აღიარებენ, რომ მარჯვენა და მარცხენა მიმართულების განცალკევება შეუძლებელია, როგორც (მენშიკოვის სიტყვებია) შეუძლებელია ადამიანის სხეულში მარჯვენა და მარცხენა ნაწილის ერთმანერთისაგან დაშორება. სხეულის ყველა ნაწილების შეწყობილი მოქმედება უნდა სწარმოებდეს-გვამცნევენ სტოლიპინი და მენშიკოვი და ამ სამცნიერო ჭეშმარიტებას შემდეგი ცხადი ვერაგული ოინით განმარტავენ: მარცხენა ხელით შნოიანად აიჭებენ ხალხს თავისუფლებას მარჯვენათიკი იმავე თავისუფლებას, ელვის უსწრაფეს ართმევენ.

სარწმუნოების თავისუფლება იმას ნიშნავს, რომ ადამიანს თავისუფლება უნდა ჰქონდეს თავის გონიერებისა და სინიდისის დაგვარად იწამოს ქვეყნიერების შემოქმედი უმაღლესი ძალა. აქ შუაში ჩადგომა და ძალადობა არას მხრივ გასამართლებელი არ არის შეუძლებელია ძალით აზრის, ფიქრის სინიდისის გადაქმნა, რადგან ყველა ეს ადამიანის სულიერ ცხოვრებას ეკუთვნის, რომელიც უარჰყოფს ძალადობის ტლანქ ბრჭყალებს.

სტოლიპინები იმიტომ ებრძვიან სარწმუნოების საქმეში თავისუფლებას, რომ კარგად იციან ამ თავისუფლების შედეგი. სარწმუნოების განთავისუფლე ბა ბოლოს და ბოლოს ადამიანის განთავისუფლებას უდრის, რადგან ადამიანი ისე აწყობს თავის ცხოვრებას, როგორც ამას საკუთარი იმისი რწმენა ნათელ ჰყოფს მისთვის. **ი. ნაკაშიძე.**

# ოსმალეთი

### დიქტატურის დაწესება.

პოლიტიკოსთა წრეებში დაპარაკობენ, ვითომ მოკლე ხანში დაწესებულ იქნება დიქტატურა სამის კაცისაგან: შევკეთ-ფაშა, ხილმი-ფაშა და ფერიდფაშა და ვითომ პარლამენტს განუსაზღვრელ ვადით დაითხოვენო. დიქტატორებს განუსაზღვრელი უფლება მიეცემათ ოსმალეთის დასამშვიდებლადო. ბევრს არა სჯერა ეს ხმა.

### აბდულ-ჰამიდი.

გამომძიებელმა კომისიამ, რომელმაც გამოიკვლია ადანის ამბების საქმე, სცნა, რომ აბდულ-ჰამიდს არ მიუღია მონაწილეობა ადანის ამბებშიო.

### რუსეთის პროტექტორატი ოსმალეთის სომხებზე.

ის ცნობა, რომ ოსმალეთის სომხები რუსეთს სთხოვენ მფარველობასო, პირველად გერმანულმა გაზეთებმა გაავრცელეს. სომხურ გაზეთ „მშაკ“-ის სტამბოლელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ ეს ცნობა ტყუილიაო. ოსმალეთის მთავრობა მაინც დააფიქრა თურმე ამ ხმამ. დიდმა ვეზირმა ტელეფონით მიიწვია სომხის ერთ-ერთ პოლიტიკურ პარტიის წარმომადგენელი გარაიანი და გამოჰკითხა, სომხის კათალიკოსი რად მიიწვიეს პეტერბურგშიო. იუსტიციის მინისტრმაც მიიწვია სომხის პატრიარქის მოადგილე იმავ საქმეზე მოსალაპარაკებლად.

### კრიტოსის საქმე.

ინგლისმა წინადადება მისცა სახელმწიფოებს, კრიტოსის საქმე ამნაირად გადასწყვიტეთო: კრიტოსი დარჩება სულთნის უზენაესს ხელმწიფობის ქვეშ, მაგრამ მის გამგებლად იქნება გუბერნატორი, რომელსაც დანიშნავს საბერძნეთის მეფე. ამავე მეფის სახელით იმოქმედებს კუნძულის ადმინისტრაცია. ოთხივე მფარველი სახელმწიფო გაგზავნის კუნძულზე თავ-თავიანთ დელეგატებს, რომლებიც ზედამხედველობას გაუწევენ კუნძულის საფინანსო საქმეებს. უცხოეთის გემები, რომლებიც დგანან კრიტოსის ახლო, ისევ დარჩებიან. სახელმწიფოების მიერ დანიშნულ კუნძულის ობერ-კომისარის თანამდებობა უქმდება.

### ახალგაზრდა ოსმალების პროგრამა.

ახალგაზრდა ოსმალების ახალ პროგრამაში, იმის გარდა, რაც უკვე გვქონდა მოხსენებული, აღთქმულია აღგილობრივ თვით-მმართველობის დეცენტრალიზაცია.

### მაკედონიაში.

სალონიკის ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტმა მაკედონიის დასამშვიდებლად გადასწყვიტა, მაკედონიის ყველა ვილაეტში დაარსოს კომისიები ყველა ეროვნების წარმომადგენელთაგან.

### ქრისტიანების მიღება ფლოტში.

საზღვაო მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ ამას იქით ბერძნებიც მიიღონ ხოლმე ფლოტის სამსახურში.

### პორტო-ფრანკო სალონიკში.

მთავრობამ შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლის თანახმად ქალ. სალონიკი პორტო-ფრანკოდ იქნება გამოცხადებული. იქაური ნავთ-სადგური ძლიერ იქნება გადიდებული.

### სულთნის უფლების შეზღუდვა.

ოსმალეთის პარლამენტმა შემდეგი ცვლილება მოახდინა იმპერიის კანონთა კრებულში:

1. სულთანი ტახტზე ასვლის უმალ, პარლამენტისა და სახელმწიფო საბჭოს წევრთა თანადასწრებით ერთგულებას შეჰფიცავს კონსტიტუციასა და შარიატს.

2. მინისტრები პასუხს აგებენ პარლამენტის წინაშე. სულთანი ჰნიშნავს მხოლოდ დიდ ვეზირსა და შეიხ-ულისლამს (წინანდელ კონსტიტუციით იგი ჰნიშნავდა სამხედრო და საზღვაო მინისტრებსაც).

3. თუ პარლამენტი უნდობლობას გამოუცხადებს სამინისტროს, იგი სამსახურიდან უნდა გადადგეს და ახალი სამინისტრო უნდა მოწვეულ იქნას.

4. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ სასჯელის პატიება სულთანს შეუძლიან მხოლოდ პარლამენტის თანხმობით.

5. აკრძალულია დაარსება ისეთ კომიტეტებისა და კავშირებისა, რომლების მოქმედება წინააღმდეგია კონსტიტუციისა.

6. სახელმწიფო საბჭოს სხდომები საჯარო იყოს. მის წევრთა ერთ მესამედ ნაწილს ჰნიშნავს სულთანი, ხოლო ორ მესამედს ირჩევს პარლამენტი.

7. სულთანს არა აქვს უფლება თავის ნებით გადაასახლოს ან დაკარგოს ვინმე.

# სპარსეთის ამბები

### დიდი ბოიკოტი.

ტფილისში ამბავი ჩამოიტანეს, რომ თავრიზსა, ურმიასა, მარანდასა, ხოისა და ჩრდილოეთ სპარსეთის სხვა ქალაქებში სპარსელმა ვაჭრებმა, ოსმალების ჩაგონებით, ბოიკოტი გამოუცხადეს რუსეთის საქონელსაო. ბოიკოტი თან და თან ძლიერდება და მალე საყოველთაოდ გადიქცევაო.

### ოსმალეთის ჯარი სპარსეთში.

თავრიზიდან ცნობა მიიღეს თეირანში, რომ ოსმალეთს ახალ-ახალი ჯარი გადმოჰყავს სპარსეთის საზღვარზეო და სხვა და სხვა ადგილებში ჰგზავნისო. სხვათა შორის ქალ. ხოიში წავიდა დიდი რაზმიო. ოსმალეთის საელჩო თეირანში არავის არ აძლევს ცნობებს ამის შესახებ.

### ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის დ ე პ ე შ ა.

თავრიზის ენჯუმენს დეპეშა მოუვიდა „ერთობის და პროგრესის“ კომიტეტისგან. დეპეშაში სწერია: ოსმალეთის ხალხი არა დროს არ მოითმენს, რომ რომელიმე უცხო სახელმწიფომ დაიპყროს ადერბეიჯანი, რადგან ადერბეიჯანის საქმე მარტო სპარსეთს როდი შეეხება, მას საერთა-შორისო მნიშვნელობა აქვს; ამიტომ თუ უცხო სახელმწიფოს ჯარი დაიჭერს ადერბეიჯანს, ეს უთუოდ გამოიწვევს საერთა-შორისო კონფლიქტსაო.

### ოსმალეთისა და გერმანიის მუქარა.

ოსმალეთისა და გერმანიის ელჩებმა შაჰს ნოტა წარუდგინეს და მოსთხოვეს, რაც შეიძლება მალე გადასწყვიტეთ ადერბეიჯანის საკითხიო, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი ვიქნებით, ჩვენი ჯარიც გავგზავნოთ იქა ჩვენის ინტერესების დასაცავადაო.

### ოსმალეთის და გერმანიის ელჩების თათბირი.

ოსმალეთისა და გერმანიის ელჩები თეირანში განუწყვეტლივ თათბირობენ ერთმანეთთან და მუდმივი მოლაპარაკება აქვთ გამართული რევოლიუციონერების წარმომადგენლებთან.

გერმანიის კონსულმა თავრიზში კიდევ გამოუცხადა რევოლიუციონერებს; ვისაც გსურთ ბესტში ჩაჯდომა, იცოდეთ, რომ გერმანიის საკონსულოს კარი ნიადაგ ღიაა თქვენთვისო.

### სათარ-ხანისა და ბაღირ-ხანის დეპეშა.

სათარ-ხანმა და ბაღირ-ხანმა, რომლებიც დღემდე განაგრძობენ ოსმალეთის საკონსულოში ბესტში ჯდომას, დეპეშით შეატყობინეს შაჰსა: სანამ რუსის ჯარი არ გავა ადერბეიჯნიდან, ბესტიდან არ გამოვალთ და ამას გარდა ოსმალეთის ქვეშევრდომობასაც მივიღებთო.

ამის თაობაზე შაჰი ეთათბირა რუსეთის და ინგლისის ელჩებს. ამას გარდა სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ინახულა ინგლისის ელჩი და ამავე საქმეზე ეთათბირა. ამბობენ, ელჩები დაჰპირდნენ შაჰსა და მინისტრს: ინგლისისა და რუსეთის მთავრობებთან ვიშუამდგომლებთ, რომ რუსის ჯარი გავიდეს ადერბეიჯნიდანო.

### შაჰის განცხადება.

თავრიზის და საზოგადოდ ადერბეიჯნის ამბები ძლიერ აღელვებენ თეირანელებს. ყველანი შიშის თვალით უცქერიან მომავალს. შაჰის მთავრობამ გამოუცხადა ყველა უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებს: თუ ვინიცობაა ჩვენი ხალხი აღელდება და რამე მოქმედება იქნება უცხო სახელმწიფოების წინააღმდეგ, ჩვენ ეხლავე ვიხსნით თავიდან ყოველ ამის პასუხისგებასო.

### რუსის ჯარი თავრიზში.

გაზ. „რეჩ“-ი ამტკიცებს, რომ რუსის ჯარმა სპარსეთში რეაქციის გაძლიერებას შეუწყო ხელიო:

„სპარსეთის საქმე ცუდად დატრიალდა: ისე გამოვიდა, თითქო რუსეთი განგებ ჩაერია საქმეში სპარსეთის რეაქციისა და არეულობის ხელის შესაწყობად. მრავალი ცნობა, ინგლისურ და რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი, ამტკიცებს, რომ რუსის ჯარის მოქმედება სულ არ შეესაბამება იმ ოფიციალურ მოვალეობას, რომელიც დააკისრეს გენერ. სნარსკის რაზმს გაგზავნის დროს. ოფიციალურად გამოცხადებული იყო, რომ ეს რაზმი გამალებულ მარშით მიდის, რომ ალყა შემორტყმულ თავრიზის მცხოვრებნი შიმშილისგან და ძალმომრეობისგან დაიხსნასო. ერთის სიტყვით, მეტად კაცთ-მოყვარული მიზანი იყო ნაჩვენები, მაგრამ მაშინვე ბევრმა არ დაიჯერა ესეთი გულკეთილობა.

სამწუხაროდ ურწმუნოთა ეჭვი გამართლდა. მრავალ ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ ან გენ. სნარსკიმ ვერ გაიგო თავის მიზანი, ან არა და, სპარსეთის შაჰმა მშვენივრად გაიგო რუსის რაზმის გაგზავნის მიზანი, დამალული პტყელ-პტყელ დიპლომატიურ ფრაზებში. ასეა თუ ისე, გენ. სნარსკისა და შაჰს შუა გაიბა რაღაც იდუმალ თანაგრძნობის ძაფი. პირველ ხანში, როცა რუსის რაზმი ჯერ ისე აშკარად არ მოქმედებდა, შაჰმა საჩქაროდ გამოსცა მანიფესტი კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. შაჰის ქვეშევრდომებმა, რომლებმაც კარგად იციან მისი ზნე და ხასიათი, ეს ახალი დაპირება თავიანთ მბრძანებლისა იმ ფასად დააფასეს, რა ფასადაც იყიდებოდა თეირანის ქუჩებში მანიფესტი, დაახლოვებით ორ კაპეიკად. საზოგადო აზრი ის იყო რომ შაჰს მხოლოდ დროს მოგება სწადიან და სულაც არ აპირებს თავის აღთქმულის პატიოსნად აღსრულებასო. ცოტა-რამ მაინც შეასრულა შაჰმა: სამინისტროში ცოტაოდენი ცვლილება მოახდინა, მოიწვია თათბირი საარჩევნო კანონის შესადგენად და სხვა. მაგრამ შემდეგში თავრიზიდან ზედი ზედ მოვიდა ცნობა, რომ რუსის რაზმი იქ ნამდვილ გამარჯვებულ ჯარივით მოქმედებსო და რეაქციამაც თეირანში ისევ მაღლა აიწია თავი.

ხოლო თავრიზიდან ბოლოს დროს შემდეგი ცნობები მოდის: რუსის რაზმის უფროსებმა დაატუსაღეს იქაურ ენჯუმენის წევრი იმ საბუთით, რომ იგი რუსეთის ქვეშევრდომიაო; დაატუსაღეს აგრეთვე რამდენიმე სპარსელიც და ერთი მათგანის სახლი დინამიტით ააფეთქეს. ჯულფაში დაატუსაღეს ორი წევრი ოსმალეთის მუდმივ სასაზღვრო კომისიისა. სათარ-ხანს კონტრიბუცია დაადვეს და მან თავის ამხანაგებით თავი შეაფარა ოსმალეთის საკონსულოს. ამის შემდეგ კიდევ ბევრნი დაატუსაღეს, თავრიზში საყოველთაო ჩხრეკას შეუდგნენ და ბოლოს 20 მუშტეიდიც დაიჭირეს. ამავე დროს შაჰი ისევ ქალაქ-გარედ წავიდა, ხოლო თეირანი ისევ ლიახოვს ჩააბარა. ადერბეიჯნის ხალხი ოსმალეთს ევედრება შველას. ოსმალეთის ჯარი უბრძოლველად იჭერს სპარსეთში ადგილებს, თავრიზელები საჩივარს უგზავნიან ოსმალეთის პარლამენტს. ინგლისურ ლიბერალური პრესა უფრო და უფრო მკაცრადა სწერს რუსის რაზმის მოქმედებაზე, ინგლისმა თავისი რაზმი უკვე გაიყვანა ბუშირიდან და, როგორც ეტყობა, ელის, რომ რუსეთიც მიჰბაძავს მის მაგალითს“.

### ოსმალეთის ქვეშევრდომის განთავისუფლება.

ჯულფაში ცნობა მიიღეს, რომ ოსმალეთის კონსულის ბეჯით მოთხოვნით, რუსებმა გაანთავისუფლეს დატუსაღებული ოსმალელი ინჟენერი ჯელალ-ედინიო.

---

მაგრებისთვის სავალდებულო ხდებოდა თვით ეკლესიისათვისაც, რადგან ამითი ეკლესია, როგორც მოსარჩლე ეროვნულ ინტერესებისა, ხალხში ჰპოვებდა ძალას და ავტორიტეტს...

ყველა ამ საბუთების ძალით ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ, საქართველოს ძველი ისტორია არ არის ველურ ტომთა ისტორია, არამედ იმ ხალხისა, რომელმაც დააღწია თავი საგვარეულო წყობილებას, შეიმუშავა პოლიტიკური საზოგადოება და ამ პოლიტიკურ ორგანიზაციის საშუალებით წარმოშობა, მოძრაობაში მოიყვანა და განავითარა ეროვნული თვით-შემეცნება.

ეს თვით-შემეცნება ქართველმა ერმა, მიუხედავად ათასგვარ დამაბრკოლებელ და გამანადგურებელ მიზეზებისა, მეცხრამეტე საუკუნემდე მიიტანა. აქ, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, ამ ეროვნულ შემეცნების ნიშნები იმაში გამოიხატა, რომ რუსეთის შემოსვლის დროს პოლიტიკურ დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება არა თუ არ იყო დახშული, არამედ ძლიერ ცხოველმყოფელიც იყო, რაზედაც ჩვენ წინა წერილებში ვრცლად გვქონდა ლაპარაკი. ჩვენ აზრს ბ-ნი ანი, რა თქმა უნდა არ დაეთანხმა. ეგ მისი ნებაა. როდესაც სპეციალისტ-ისტორიკოსები ამ ეპოქის მეცნიერულ ისტორიას შეიმუშავებენ, მაშინ გამოჩნდება, ვინ იყო მართალი და ვინ არა.*)

ამგვარია საზოგადო ხასიათი იმ კამათისა, რომელიც გვქონდა მე და ბ-ნ ანს. „სადავო კითხვების“ შესახებ, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი რამ ითქმის. მაგრამ საუბარი დასრულებულად მიმაჩნია. რაცა სთქვით, ის მასალაც რომ გამოვიყენოთ პრაქტიკულ პოლიტიკის ნათელ-საყოფად, უსარგებლო საქმე არ იქნება. ეს პრაქტიკულ პოლიტიკის საკითხი კი ცხადად გამოსჭვრეტს ყველა ზემოდ ნათქვამიდან. ასე იყო საქმე წარსულში თუ ისე, დღეს რაღა გვმართებს ქართველებს, ვინა ვართ, რა ვართ და საითკენ მიისწრაფვის ჩვენი პოლიტიკური აზრი? მთავარი საფიქრებელი საქმე ეხლა ისა გვაქვს, თუ როგორ უნდა მოეწყოს ის ეროვნული კულტურა, რომლის წარმოშობის ალსნაში ვერ შევთანხმებულვართ. ბ-ნ ანის სხვა ნაწერებიდან სჩანს, რომ ამ კულტურის მოწყობა შესაძლებელია რუსეთის მთლიან და ცენტრალისტურად აგებულ სახელმწიფოში. ჩვენ რადიკალურად უარვყოფთ ამ თვალსაზრისს და მოწადინებულნი ვართ მოკლე ხანში წარუდგინოთ მკითხველს გეგმა საქართველოს ავტონომიისა კონკრეტულ პირობების მიხედვით შემუშავებული.

**არჩილ ჯორჯაძე.**

*) უნდა ვსთქვა, რომ ანი, არქეოგრაფიულ კომისიის «აქტების» დიდი მოტრფიალე, ბრალსა მდებს, ვითომ მე ეს «აქტები» არ წამეკითხოს და ბ-ნ ჯავახიშვილის წიგნაკიდან („Полит. и Соц. движ. въ Грузіи“) ამომეკრიფოს ჩემთვის საჭირო ცნობები. გადამალეთ ხსენებული წიგნაკი და იქ ვერ იპოვნით იმას, რაზედაც ვემყარები. (Акты т. II стр. 322, т. V стр. 82. т. V 82, 82). ამ ცნობებიდანა სჩანს, რომ კახეთის ხალხმა ცემი გამოუცხადა რუსეთს და თავისი მეფეც აირჩია.

---

# წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა

(შემდეგი *)

რომ რითიმე გასამართლებელი უფილიყო ასეთი მოსაზრება, ადამიანი იფიქრებდა, ბ-ნი მაზრელი, ეს მეორე ბრალმდებელი წინამძღვარიანთ-კარის სკოლისა, იგივე ბ-ნი ტ. არისო.

ბ-ნი ტ. ესება ამ საკითხს «დროების» N 54. მეც მსურს დავუმატო ცოტა რამ ჩემის დაკვირვებიდან».-ო

რაკი ბ-ნ მაზრელს სურს მხოლოდ დაუმატოს, ცხადია ყველა მოსაზრებას წინამორბედისას ეთანხმება. როგორც ახირებულობა, ისე მიდრეკილება ბ-ნ მაზრელის მოსაზრებათა არაფრით არ ჩამოუ არდება ბ-ნ ტ.-ს საბუთიანობას.

განვიხილოთ ბ-ნ მაზრელის მოსაზრებანი და, ნურას უკაცრავად, თუ ავტორის სასარგებლო იმათ ვერაფერი გვითხრან. აღნიშნავს რა მცირე წინასიტყვაობაში სკოლის 25 წლის მოღვაწეობის არარაობას, ბ-ნი მაზრელი იოტის ოდნავადაც არ უფიქრდება თავისივე ხელით დანაწერ განცხადებას:

არ გამოვუდგებით სკოლის დაწვრილებითი ისტორიის აღწერას, რადგან ამისათვის არც დრო გვაქვს, არც ადგილი და არც უტყუარი საბუთებიო.

მაშასადამე, ბ-ნ მაზრელს, არც დრო ჰქონია, არც ადგილი, არც საბუთები სკოლის წარსულ ისტორიიდან და, მიუხედავად, ამისა რასა სწერს იმისს 25 წლის მოღვაწეობის შესახებ:

მართლაც რას ვხედავთ 25 წლის დამლევს წინამძღვარიანთ-კარში? გამგის ამდენმა შრომამ და მსხვერპლმა, საზოგადოების დახმარებამ და გულმოდგინეობამ ფუჭად ჩაიარა.

დიახ, ასე დასკვნის ის მწერალი, რომელსაც [illegible] სახებ არავითარი საბუთი არ მოეპოვება [illegible] არც დრო ჰქონდა და არც მოცალება, რომ სასიკვდილო განაჩენის გამოტანამდე „დამნაშავის“ საბუთები განეხილა.—ასე იცის ხოლმე სამხედრო-საველე სასამართლომ!..

ამგვარად, ეს ზემოაღნიშნული გარემოება, უსათუოდ მსჯავრის დადებისა, საგულისხმოა ჩვენთვის იმდენად, რამდენადაც მასში ბ-ნი მაზრელის სამართლიანობა გამოიხატება, მაგრამ უმეტეს ყურადღების ღირსი მისი მოსაზრებანია. ბ-ნი ტ.—სა არ იყოს, მაზრელიც „საანბანო ჭეშმარიტებიდან“ იწყებს თავის დარიგებას.

უტყუარი ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ყოველ ადგილს მისავალი გზა უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს საზოგადო და საქვეყნო დაწესებულებას.» ეს ჭეშმარიტება არ უნდა ჩაეთვალოთ სკოლის დამაარსებლებს. სკოლისკენ მიდის მცხეთიდან უკეთესი სოფლის გზა, რომლის სიგრძე 20 ვერსამდეა.

ლაპარაკი მეტია, რომ გზის საჭიროება მართლაც საანბანო ჭეშმარიტებაა, მაგრამ საინტერესოა ვკითხოთ ბ-ნ მაზრელს: ვის უნდა ეზრუნა ამ გზის შესახებ. შესაძლო იყო წინამძღვრიშვილს ჯერ არაგვზე ხიდი გაედგა, შემდეგ გზები ეკეთებინა და ბოლოს სკოლაც დაეარსებინა. აქ ერთგვარი, „ქათამისა და კვერცხის“ გაჩენისა არ იყოს, ახირებული კითხვა იბადება: რა უნდა გაკეთებულიყო: ჯერ ხიდი, გზა და შემდეგ სკოლა, თუ ჯერ სკოლა და შემდეგ ხიდი და გზა. ბავშვობისას, როცა წინამძღვარიანთ-კარში ვსწავლობდი, ბევრი, ძლიერ ბევრი გასაჭირი მინახავს ამ უგზოობ-უხიდობისაგან, მაგრამ ის არასოდეს არ მიფიქრია: ნეტავი აქ ხიდი იყოს და სკოლა არა მეთქი. ვინც მდინარე არაგვს იცნობს და იმის კალაპოტისთვის თვალი გადაუვლია, მეტადრე სოფ. ნატახტარის მახლობლად, იმას მართლაც სიცილს მოჰგვრის ბ-ნ მაზრელის დარიგება. საჭირო იყო ავტორი ზეპირ-სიტყვაობით არ შესდგომოდა ამ საგანზე ლაპარაკს და დაახლოვებით მაინც გამოეკვლია, რა დაჯდებოდა ეს ხიდი და გზა. მაგრამ მას ალბად ამისთვის „მოცალება“ და „საბუთები“ არა ჰქონდა.

მართალია წინამძღვარიანთ-კარის პირდაპირ არაგვი ძლიერ იმლება, მაგრამ იმის შეპირკაც ხომ შეიძლება,

ბრძანებს ბ-ნი მაზრელი. არაგვი, მეტადრე იმ ადგილებში, ადვილად არ იდებს ბორკილებს და შემცდარია ბ-ნი მაზრელი, თუ მას ეს უბრალო საქმედ მიაჩნია. რასაკვირველია, თუ ამ საქმეს მთელი საგურამოს ხეობა და წილკანმუხრანის მახლობელი სოფლები ივისრებენ, კიდევაც მოაგვარებენ, მაგრამ ბ-ნი მაზრელი მარტო წინამძღვარიანთ-კარის სკოლას ჩაფრენია და იქიდან გამოელის ყველაფერს.

ეს საჭირო გზა ადვილად შეიძლებოდა გაკეთებულიყო, რადგან 25 წლის განმავლობაში სკოლას უსახსრობა არც ისე ძალიან აწუხებდაო,

ბრძანებს ის. თუ ეს სიტყვები ირონიულად არის ნახმარი, ცხადია სკოლას ჰქონია ხიდისა და გზის ასაშენებელი თანხა, მაგრამ სხვა არა საჭირო საქმეზე დაუხარჯავს. ბ-ნი მაზრელი მართლაც უთითებს სკოლის ეკლესიაზე. მან ალბად არ იცის, რომ ეკლესია აშენდა სწორედ ამ საქმისათვის შეწირულ ფულით. შეიძლება ხიდი უფრო საჭირო იყო ეკლესიაზე, მაგრამ ეს არა შემომწირველთათვის. თუ ზემოდ-მოყვანილ სიტყვებს ნამდვილ მნიშვნელობას დავუტოვებთ, ცხადია სკოლას „არც ისეთი ძალიანი უსახსრობა“, მაგრამ უსახსრობა მაინც განუცდია და რით უნდა გასძღოლოდა ასეთ დიდ საქმეს. რაიცა შეეხება საგურამოს სოფლებს, იმათთვის არც ისე საჭიროა ნატახტარის ხიდი არაგვზე, ვინაიდან ამგვარად გზა ტფილისამდე შესამჩნევად გრძელდება. მხოლოდ უკიდურესს შემთხვევაში ისარგებლებს საგურამოე-

*) იხ. „დროება“, N 113

---

# ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

„დროების“ კანტორა წლიურ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს: ვისაც მარტო ხუთი მანეთი აქვს შემოტანილი, პირველ ივნისისთვის მან ორი მანეთიც უნდა შემოიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი მოესპობა.

დი მეურნე ამ გზით და ტფილისთან კავშირს ისევ ძველი გზით დაიჭერდა.

ახირებულია ბ-ნ მაზრელის დასკვნა ამ საკითხის შესახებ ის ამბობს:

როდესაც კარგ გზაზე (და ხიდზე) ვლაპარაკობთ, საზეში მარტო წინამძღვარიანთ-კარი არა გვაქვს. ეს გზა დაუფასებელ სამსახურს გაუწევს ამ კუთხეს და სკოლის ღირსებასაც ასწევს ხალხის თვალში.

აშკარაა, ბ-ნი მაზრელიც სკოლის დირსებას ხიდ-გზების კეთებაში ჰხედავს და რაკი სკოლამ ნატახტართან არაგვი არ შეუბორკა და ზედ რკინის ხიდი არ ააგო, სხანს სკოლა არ ვარგებულა.

მიუხედავად ჩვენ მიერ ზემოდ-მოყვანილი მოსაზრებისა, რომ არაგვზე ხიდისა და მცხეთამდე გზის კეთება არც შედიოდა სკოლის პროგრამაში და მატერიალურის მხრითაც შეუძლებელი იყო სკოლისათვის, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი ილია წინამძღვარიშვილი მუდამ ჟამს ზრუნავდა მცხეთის გზის შეკეთება-შესწორებაზე. ეს არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს.

**ნ. კალანდაძე.**

(შემდეგი იქნება)

## მეორე ქსენონი დუშეთის მაზრაში

(წერილი მთიულეთიდან)

საშინელი შიმშილი მოგველის საცოდავ მთიელთ, თუ ცოტა ხანს კიდევ გასტანა იმისთანა გვალვამ, როგორიც ეხლაა. მთაში ხვნა-თესვა იწყება აპრილის დამდეგ და თავდება მაისის გასულს. წელს ამ ხნის განმავლობაში ცის ნამი არა გვღირსებია, ამიტომ გვალვისაგან ჯერ ვერა მოვხანით რა, მხოლოდ რაც მოვხანით და დავთესეთ—ტყუილად: თესლი დაიხალა და არ ამოვიდა...

ზამთრის საძოვრებიდან ცხვარი რიგიანად გაკვებილი მოვიდა. მაგრამ, როგორც ხმებია, მატყლს ჩვენთვის არც წელს ექნება ფასი, ისევ ათასნაირ მაწანწალა აგენტების ხელში ჩავცვივით და, როგორც უნდათ, ისე მიიწონენ მატყლს.

მთავრობას საჭიროდ დაუნახავს და გადუწყვეტია მეორე ქსენონის გახსნა დუშეთის მაზრაში. ადგილის შესახებ ცნობებსა ჰკრეფვენ. ერთხელ დუშეთში სხდომაცა ჰქონდა კომისიას ამის გამო, მაგრამ ეს კომისია როგორღაც სამ ივნისის კანონით არჩეულსა ჰგავდა; რადგან ქვიშეთის საბოქაულოდან, სადაც 140 სოფელი ითვლება, მხოლოდ ორი კაცი იყო მიწვეული—მომრიგებელი შუამავალი და ბოქაული, ხოლო ბაზალეთისა და მცხეთის საბოქაულოებიდან, მთავრობისა და ადგილობრივ თავად-აზნაურთა წარმომადგენლების გარდა, სოფელ-სოფელ კაცებიც იყვნენ მიწვეულნი და უმრავლესობას წარმოადგენდენ. კიდეც ეს იყო მიზეზი, რომ მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი წინადადებას იძლეოდა, ეს საკითხი ხმის უმეტესობით გადაწყვეტილიყო.

ჩვენის ფიქრით, ყოველს საფუძველს მოკლებულია აგრეთვე ბ-ნ ლ. მაზრელის რჩევა, მოთავსებული გაზ. „დროება"-ში (№ 106), სადაც ავტორი ურჩევს მთავრობას ქსენონის გახსნას სოფ. ნაოზაში ან აღდგომლიანთ-კარში, უფრო იმ მოსაზრებით, რომ ამ ადგილებს ბევრი მგზავრი ჰხვდებაო. მოდი და მეც, როგორც მცხეთელი, ვურჩევ, ქსენონი გახსნან მცხეთის ზემოდ ღართის კარში ან ბებრის-ციხესთან, აქ ხომ ერთი მგზავრიც ვერ ასცდება და ავლა-ჩავლით ქსენონის სუნით განიკურნება. ამაზედ მეტად მჭიდროდ დასახლებულ ადგილს-კი არც ზემოხსენებული კუთხეები წარმოადგენენ.

ზოგიერთნი, ნამეტნავად მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ქსენონისათვის ურჩევენ სოფელ ჭოპორტს ან ბულაჩაურს.

კარგი იქნება, ყველანი ჩაუკვირდნენ, რომ ქსენონი იხსნება არა მგზავრებისთვის, რადგან იგი რაიმე ჭირის ასაცილებელი „კარანტინი" როდია. ამასთან დუშეთის მაზრის მარტო ჭოპორტისა და ნატახტარის საზოგადოება არ შეადგენენ. ეს ადგილები მდებარეობენ ქალ. დუშეთიდან 17-18 ვერსის მანძილზე, და ასე თუ ისე მცხოვრებთ შეუძლიანთ ისარგებლონ ექიმებითა და წამლებით, თავიანთ ფულით მაინც.

მაგრამ მრჩევლები და ნამეტნავად მთავრობის წარმომადგენლები რას ეუბნებიან დაჩიწყებულს, დაავადმყოფებულს, ოდესღაც ლაღს, ხოლო ეხლა თვით ბუნებისაგან მოძულებულ მთიელს, რომელსაც ნაყიდი სიმინდი და ქერიც არა აქვთ ნახევარზე მაძღრისად. ვინ იცის, რამდენ სნეულებას არ განიცდიან. განა სამართლიანობა არ მოითხოვს, რომ ქსენონი გაიხსნას დაბა ფასანაურში, რომელიც შეადგენს მთიულეთის შუაგულს და სადაც ადვილად შეუძლიან ისარგებლოს ხალხმა—ანანურიდან დაწყებული ვიდრე ყაზბეგამდის. ამ ადგილებში ითვლება არა ნაკლებ 4000 კომლისა (30000 სული ორივე სქესისა). თუ კომისიაში მონაწილეთ არ იციან ეს გარემოება, ბევრმა სხვამ რომ კარგად იცის, მაგალითად: მაზრის უფროსმა, მაზრის ექიმმა, ზოგიერთა მომრიგებელმა შუამავალმა, ბოქაულებმა და სხვათ. დაფიქრდნენ. ჩვენ მთიელთ რომ თავად-აზნაურობის წინამძღოლნი და წარმომადგენელნი არა ჰყავნან, რომელნიც, ეტყობა, გავლენას იქონიებენ ამ საქმეში, განა უნდა დაივიწყონ და სიმართლეს გვერდი აუქციონ? მოიგონოს, მაგალითად, მაზრის ექიმმა, რომ ფასანაურში, სადაც ერთი სახელმწიფო ფერშალია, რომელსაც ნახევარზედაც რიგიანად არ უგზავნიან წამლებს, წელიწადში 5000 ავადმყოფამდე მისდის წამლებისათვის და ორი-სამი ამოდენა კიდევ ხელ-ცარიელი ბრუნდება შინ. ფასანაურში ქსენონისათვის თავისუფალი შენობაც-კია.

მიაქციონ ყურადღება აგრეთვე შემდეგ გარემოებას: ამ ორი წლის წინად ფერშლის სადგური რად გახსნეს ფასანაურში და არა ჭოპორტ-ნაოზა-ბულაჩაურში და სხვაგან? უეჭველად რითიმე ხელმძღვანელობდნენ, ხოლო ეხლა, არ ვიცით, რითი ხელმძღვანელობდნენ, როდესაც ჩვენ ადგილს გზას უხვევენ? სამართლიანობა მოითხოვს, რომ ქსენონი აქ, ფასანაურში, გახსნან, ხოლო აქაურ ფერშლის სადგური გადიტანონ სოფ. ყაზბეგში.

**ბერელი მთაში.**

## უცხოეთი

**გერმანიის იმპერატორის და რუსეთის იმპერატორის შეხვედრა.**

მალე გერმანიის იმპერატორი წავა ბალტიის ზღვაში და იქ შეხვდება რუსეთის იმპერატორს. გერმანიის იმპერატორს თან ახლდება გერმანიის საიმპერიო კანცლერი ბიულოვი, ხოლო რუსეთის იმპერატორს პირველ მინისტრი სტოლიპინი. ამბობენ, ამ შეხვედრის დროს ითათბირებენ კრიტოსის და სპარსეთის საქმეებზე.

ინგლისელი და ფრანგი პოლიტიკოსები დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ ამ შეხვედრას, რომელიც, მათის აზრით, მოასწავებს გერმანიის გამარჯვებას.

სამაგიეროდ ავსტრიელი პოლიტიკოსები ეგეთ დიდ მნიშვნელობას როდი აძლევენ ამ შეხვედრას. მათის აზრით, რუსეთი არ შეცვლის თავის პოლიტიკას, არ უღალატებს ინგლისის და გერმანიის მხარეს არ გადავაო.

**ხორვატ პუბლიცისტის წინასწარმეტყველება.**

„ნოვ. ვრემია"-ს ბელგრადელი კორესპონდენტი სწერს: ხორვატელ პუბლიცისტმა სტეფანე როდიჩმა, რომელიც ეს-ეს არის რუსეთიდან დაბრუნდა, თავის მოგზაურობა დასწერა ხორვატულ გაზეთებში. როდიჩი ისე გაბრაზებულია რუსეთზე, რომ წინასწარმეტყველებს რუსეთის იმპერიის სრულს დაღუპვას

**„დამარხული იმედები".**

ამ სათაურით ვენურ გაზეთ „ცაიტ"-ში წერილი დაიბეჭდა სლავიანთა იმ კრების შესახებ, რომელიც ამას წინად იყო გამართული პეტერბურგში. „ცაიტ"-ი სწერს: „ეტყობა, რომ სლავიანებს გუნება შეუცვლიათ; დასავლეთის სლავიანები ეხლა სხვა თვალით უყურებენ ზოგიერთ საქმეს. გაკვირვებითა და თანაგრძნობით ვკითხულობდით, რომ ჩეხი მოღვაწე კრამარჟი ასე დინჯად და ფხიზლად ლაპარაკობდა პეტერბურგში ისეთ საგნებზე, რომლებზედაც მისი თანამემამულეები ორიოდე წლის წინად სულ სხვანაირად ლაპარაკობდნენ ხოლმე... კრამარჟი ახალს არაფერს ამბობს, მაგრამ თითონ ის გარემოება, რომ ის ასე ლაპარაკობს, ახალია. ყველა მიუდგომელი მოაზრე მუდამ მკაცრად ჰგმობდა იმ საშინელ დევნისა და შევიწროების წესებს, რომელსაც რუსეთი პოლონელთა წინააღმდეგ ხმარობდა. მარტო ჩეხი პოლიტიკოსები არა ჰხედავდნენ ამ საშინელებას; მათ არ ესმოდათ პოლონელთა კვნესა-გოდება. მხოლოდ ეხლა შეიძლეს ჩეხებმა ამ წესების დაგმობა, და კრამარჟმაც გამოუცხადა რუსებს თავისი აზრი, რომელიც იმავე დროს მთელი ევროპის აზრიცაა.

**იაპონიის სამხედრო ბიუჯეტი.**

იაპონიის ხარჯი ჯარსა და ფლოტზე თან და თან მატულობს. ამის და კვალად მატულობს ხალხის უკმაყოფილებაც ასეთის უზომო ხარჯებით. იაპონური დიდი ჟურნალი „კეიზა-ზასგი" ამტკიცებს, რომ იაპონიამ სამხედრო ბიუჯეტი უნდა შეამციროს და იმ ბიუჯეტს დაუბრუნდეს, რომელიც მას ჰქონდა 1899 წელს. მას შემდეგ სამეფრო ხარჯმა ერთი-ორად იმატა: ამ ჟამად იგი ავიდა 72,291,842 იენამდე, როდესაც 1899 წელს ეს ხარჯი შეადგენდა მხოლოდ 35,577,308 იენს. ეს ხარჯი რუსეთთან ომის შემდეგაც ძლიერ მატულობს. 1906 წელს ჯარზე დახარჯული იყო 37,824,894 იენი, ხოლო 1909 წელს სამხედრო ბიუჯეტში ეს ხარჯი ნაანგარიშევია, როგორც უკვე იყო ნათქვამი ზევით—72,291,842 იენად. სამხედრო ხარჯი ამ ჟამად ჰნთქავს დაახლოვებით იაპონიის მთელი შემოსავლის მესამედს. „კეიზა-ზასგი" თხოულობს, რომ იაპონიის ჯარს 6 დივიზია მოაკლდეს, რაც სამხედრო ბიუჯეტს მოაკლებს 30 მილიონ იენს, და შესაძლებელ გახდის ისეთ გადასახადების გაუქმებას, როგორიცაა გადასახადი მარილსა, რკინის გზის ბილეთებსა და სხვებზე. მაგრამ იაპონიის სამხედრო წრეებს გასაგონადაც-კი ეჯავრებათ სამხედრო ბიუჯეტის შემცირება, რადგან, მათის აზრით, იაპონია უნდა მოემზადოს ახლ ომებისთვისო.

## რუსეთი

**მემარჯვენეების განცხადება.** გაზეთების სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე დეპუტატებს ხომიაკოვისთვის განცხადება' გადაუციათ, პრესის წარმომადგენლები სათათბიროს კულუარებში დაიარებიან და ამით ხელს უშლიან დეპუტატებს თავისუფლად იმსჯელონ, რადგან ყოველივე მათ სიტყვას გაზეთებში აქვეყნებენო. განცხადებაზე 74 დეპუტატს უწერია ხელი. ხომიაკოვს გამოუძიებია და აღმოჩენილა, რომ არც ერთ ამ დეპუტატს პრესის წარმომადგენლებთან არ ულაპარაკნიათ და 60 მათგანის გვარი პრესაში სულ არც კი ყოფილა მოხსენებული!!

**ლოპუხინი.** ლოპუხინს შუამდგომლობა აღუძრავს, ციმბირში ჩემი ხარჯით წავალო. „რეჩის" სიტყვით ლოპუხინს მისცემენ ამის ნებას. ლოპუხინის ცოლშვილი მასთან ერთად ციმბირში წავა. პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, რომ ლოპუხინის ციმბირში ერთ ქარხნის გამგეთ დანიშნავენო.

**ოლგა შტეინის საქმე და ნაფიცი ვექილები.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, იუსტიციის მინისტრის განკარგულებით სამართალში მისცეს ნაფიცი ვექილები ბაზუნოვი, არონსონი და პერგამენტი. როგორც ვიცით პერგამენტზე ისე იმოქმედა ამან, რომ იგი გარდაიცვალა. ბაზუნოვი და არონსონი კი თავის ნებით მისულან გამომძიებელთან. გამომძიებელს მათთვის ჩვენება ჩამოურთმევია. გამოძიება ხუთი საათი გაგრძელებულა.

**მილიუკოვი.** „ბირჟ. ვედ."-ის სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ მილიუკოვს სამართალში მიუცია „რუსკოე ზნამ." რედაქტორი დუბროვინი. მილიუკოვი დუბროვინს უჩივის, ცილი დამწამაო. მილიუკოვს საქმის წარმოება გრუზენბერგისთვის მიუნდვია.

**მოსკოვის ცენტრალურ სატუსაღოში.** სახელმწიფო სათათბიროს კადეტების ფრაქციას მოსკოვის ცენტრალურ სატუსაღოდან წერილები მიუღია. წერილებში ტუსაღები ჩივიან, სატუსაღოს უფროსი ტუსაღებს სულ უბრალო დანაშაულისთვის წკეპლებით აცემინებს. ზოგიერთ შემთხვევებში ისე სცემენ თურმე, რომ ტუსაღს გული მისდის. კადეტებს გადუწყვეტიათ სათათბიროში შეკითხვა შეიტანონ.

**რუსეთის საიდუმლო პოლიცია პარიზის სასამართლოს წინაშე.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, ამ რამდენიმე ხნის წინედ ყოფილმა რევოლიუციონერმა და შემდეგ საიდუმლო პოლიციის აგენტმა რიპსმა დასჭრა მოსკოვის საიდუმლო პოლიციის უფროსის თანაშემწე ფონ-კოტენი. რიპსის და ფონ-კოტენის საქმეს საფრანგეთის სასამართლო გაარჩევს. პარიზიდან „ნოვაია რუს'" ატყობინებენ, რომ ფონ-კოტენის პროცესი ძალიან საინტერესო იქნება, რადგან რუსეთის საიდუმლო პოლიციის საზღვარ-გარეთ მოქმედების შესახებ აუარებელი მასალები შეუკრეფიათ. ამას გარდა ჟურნალ „ბილოეს" რედაქტორ ბურცევს რუსეთის საიდუმლო პოლიციის შესახებ ცნობა ამოუღია თავის არხივიდან, ამ ცნობებს ბურცევი სასამართლოს გადასცემს. როგორც აღმოჩნდა, ამ საქმეს აზეფთან ჰქონია დამოკიდებულება და ბევრს იმედი აქვს, რომ აზეფ-ლოპუხინის საქმის შესახებ ბევრი რამ ახალი გამოქვეყნდება.

## წერილი რედ. მიმართ

ნება მოგვეცით თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმათ, რომელთაც დახმარება აღმოგვიჩინეს ახუთის სახალხო უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვაში.

30 აპრილს დ. ზუგდიდში გავმართეთ წარმოდგენა ზემოხსენებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ. საზოგადოება თანაგრძნობით შეჰხვდა ამ კულტურულ საქმეს, რაიც გამოიხატა ადგილობრივ საზოგადო საკრებულო შენობის უფასოდ დათმობაში, საზოგადოების ბლომად დასწრებაში და კერძო შემოწირულებებში. გამგეობდა კნ ციცინო ერისთავისა. დიდი შრომა მიიღეს თავისის დახმარებით ქ-ნებმა ნ. მუჯირისამ, მ. ჩაჩავასამ, ს. შავგულიძემ და ოლგა აფაქიძემ, რომელთაც ულრმეს მადლობას ვსწირავთ. ხოლო ქ-ნი ნ. კაკაბაძეს და მ. კეიდიას, ბ-ნთ კ. მაჭავარიანს, კ. ბუკიას, კ. ბერიძეს, ა. ჯიქიას, ი. კეიდიას, თ. ხვიტიას, გ. კეიდიას, დ. თოლორაიას, დ. ჩიქოვანს, თ. კეიდიას და კ. კაკულიას გულითად მადლობას ვსწირავთ იმ დიდ შრომისთვის, რომელიც მათ მიიღეს თავიანთ მონაწილეობით ზოგმა პიესაში და ზოგმაც „ხოროში"

კეთილ ინებეს და შემოსწირეს ამ ჩვენ ღარიბ ბიბლიოთეკას: ფ. ფიჩხიამ —3 მანეთი, ვ. ალშიბაიამ, გ. ალშიბაიამ და ლ. აფაქიძემ თითო მანეთი, ხოლო ა. უგულავამ რამოდენიმე ქართული და რუსული წიგნი.

წარმოდგენიდან წმინდა შემოსავალი დაგვრჩა 81 მან. 55 კაპ., რომელიც უკვე გადაეცა ბიბლიოთეკის გამგეს პ. პაპასკირს.

**არიადნა ჯოხტაბერიძე და მაქსიმე ვეკუა.**

## განცხადებანი


**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—ნ.—62)

**მუხჰალტრის საზაფხულო**
**კ უ რ ს ე ბ ი**
განაგრძობს მიღებას სწავლის დაწყ. 1 ივნისს. ღარიბებს უფასოდ. ინსპ. საკ. სკოლ. და კურს. ივ. ზ. ტერ-სტეფანოვი. ავჭალის ქ. დასაწყისში, 1 თუმან ქ., ს. ს., N 13. (3—278—3)

**პირველი კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანცისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
[illegible]

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ, საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—94)

**გაფრთხილება**
**დ. ზ. სარაჯიშვილისა**
კ ა ნ ტ ო რ ა   ტ ფ ი ლ ი ს შ ი.
ЗАВОДСКАЯ МАРКА

ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდად **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომელიც საშინლად ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ —უნდათ შეცდომაში შეიყვანონ ვ-ნნი მომხმარებელნი.

ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ. სარაჯიშვილი,** ხოლო წვრილის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს **ყოფილი მოსამსახურენი.**

ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი **„ყოფილი მოსამსახურენი",** და საქარხნო მარკას **„ჯიხვი კლდეზე"**. (20—234—9)

გამოვიდა და იყიდება **წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში** ახალი წიგნი:

**საქართველოს სიძველენი**
ტომი მეორე
**პალეოგრაფიულის ალბომით**
საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემული, ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით.

◀ **ფასი 3 მან. 50 კაპ.** ▶

ეს წიგნი **უფასოდ დაეთმობა** საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების იმ ნამდვილ წევრებს, რომელთაც შემოუტანიათ 1908 წლის საწევრო გადასახადი (3 მან.). ასეთს წევრებს, ტფილისში მცხოვრებთ შეუძლიანთ მიიღონ წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ხოლო ქალაქს გარეთ მცხოვრებთ წიგნი ფოსტით გაეგზავნება. (10—6)

**პროვოდნიკის**
1897 წ.   ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА   1888
ФАБРИЧ. КЛЕЙМО Р. Ф. 3. ПРОВОДНИКЪ РИГА
1908 წ.
**ამხანაგობა**
**რ ი გ ა შ ი**
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● **იყიდება ნარდად და ცალობით:** ●

**ლინოლეუმი,** აუარებელი, ერთფერიანი და უზორებიანი,

**ასბესტის კარტონი,**

**ასბესტის და ტალკის ნაბივკა**

◀ **ა ხ ა ლ ი   რ ა მ:** ▶

**„ს ა უ კ უ ნ ო" ლინოლეუმი** უზორებით, რომელიც მეორე მხარესაც-კი გადის და რომელიც თვითონ ლინოლეუმის გაცვეთამდე არ იცვლება.

**ლ ი ნ კ რ უ ს ტ ა** (საუკუნო შპალერი) ნაირ-ნაირი უზორებით, საუცხოვო თვალისთვის და საუკეთესო ეკონომიისთვის.

**ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი"-სა**


სტამბა „სინათლე", დიდი ვანქის ქუჩა, № 12.   რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.